<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აპრილი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, შალვა ცინცაძის I შესახვევის მონაკვეთისთვის და შალვა ცინცაძის ქუჩის გასასვლელის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული გასასვლელისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნოდარ ჯანგირაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, შალვა ცინცაძის გასასვლელის მონაკვეთს და შალვა ცინცაძის I შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნოდარ ჯანგირაშვილის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ნაძალადევის რაიონში, შალვა ცინცაძის გასასვლელის მონაკვეთს მიენიჭოს 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნოდარ ჯანგირაშვილის I გასასვლელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ვებ გვერდი დამუშავების პროცესშია
1 : 1246
NAPR

ნოდარ ჯანგირაშვილი

(1948-1989)

9 აპრილის ტრაგედიის გმირი. გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოვდა წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით.

ნოდარ ჯანგირაშვილი დაიბადა 1948 წელს. 1980 წელს დაამთავრა თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. შემდეგ სწავლა განაგრძო ფიზკულტურის ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის სპორტსახკომში, სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკურ საბჭოში, ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების პროფკავშირების რესპუბლიკურ საბჭოში აგიტაცია-პროპაგანდის სამმართველოს უფროს ინსტრუქტორად. მისი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით დაწესდა „დინამოს“ სტადიონზე „ერთგულების“ ლატარეა , გაიხსნა სპორტული ლიტერატურის ბიბლიოთეკა, სპორტული ლიტერატურის მაღაზია, აშენდა მეტროსადგურ ყოფილ „ელექტროდეპოსთან“ დიდუბეში გადასასვლელი ხიდი, გაიხსნა ინვალიდი სპორცმენებისათვის დახმარების ფონდი, რომლის პასუხისმგებელი მდივანიც თვითონ იყო.

1989 წლის 9 აპრილს ტრაგიკულად დაიღუპა თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართული საპროტესტო დემონსტრაციის დარბევის დროს. დაკრძალულია თბილისში, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.2014 წლის 9 აპრილს, ტრაგიკული მოვლენებიდან 25 წლის თავზე საქართველოს პრეზიდენტმა ოჯახის წევრებს წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი გადასცს.